07/07/2023

საპატრიარქოსა და სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმა „პრაიდის კვირეულთან“ დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთეს

საპატრიარქოსა და სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები მეტეხის ტაძრის ეზოში შეიკრიბნენ და „პრაიდის კვირეულთან“ დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთეს.

როგორც საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანდრია ჯაღმაიძემ განაცხადა, ე.წ. ლგბტ-მოძრაობის ნამდვილი მიზანია არა ვინმეს უფლებების დაცვა, არამედ კულტურული კოდის ცვლილება, რასაც საზოგადოება ვერ შეეგუება.

მისივე თქმით, ძალადობით არ წყვეტენ საკითხებს და არც არასდროს არავის მოუწოდებენ ძალადობისაკენ.

„ეგრეთ წოდებული ლგბტ მოძრაობა ადამიანის უფლებების დაცვის, ტოლერანტობისა და მიმღებლობის ქოლგის ქვეშ ახორციელებს შორს მიმავალ გეგმებს. ამის დაკვირვება შესაძლებელია იმ ქვეყნების მაგალითზე, სადაც ამ მოძრაობამ რამდენიმე

ათეული წლის წინ აიდგა ფეხი. ჯერ კიდევ წლების წინ ჩვენ ხმამაღლა ვაცხადებდით, რომ ამ მოძრაობის ნამდვილი მიზანი არ არის ვინმეს უფლებების დაცვა, არამედ გაუკუღმართებული ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა, მათ შორის, მოზარდ თაობაში პროპაგანდა, ერთნაირსქესიან წყვილთა ოჯახებად დარეგისტრირება, ბავშვების აყვანა და, ზოგადად, კულტურული კოდის ცვლილება.

დღეს ყველაფერი ხელისგულზე დევს და კარგად ვხედავთ ბავშვებში ამ პროპაგანდის დასაწყისის მცდელობებს. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ გავაცხადოთ: ჩვენი საზოგადოება ამას ვერ შეეგუება, არ არის მზად და არც არასდროს დადგება მსგავსი მზაობა. ეს საკითხი განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მშვიდობას და იწვევს უკიდურეს პოლარიზაციას, ამიტომ მისი საკანონმდებლო წესით დარეგულირება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ჩვენ, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად, ასევე თვალნათლივ წარმოგიდგენთ ჩვენს ერთობას ამ საკითხთან დაკავშირებით და ხმამაღლა ვაცხადებთ: ამ ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ერთად ვქმნიდით თანაცხოვრების კულტურას, რომელშიც სიღრმისეულად არის გამჯდარი ურთიერთპატივისცემაც და ურთიერთმიმღებლობაც. ჩვენ ერთმანეთთან ძალადობით არ ვწყვეტთ საკითხებს, არც არავის არასდროს მოვუწოდებთ ძალადობისკენ და გვაქვს გულწრფელი სურვილი, ძალადობით, ცბიერებითა და მოტყუებით არავინ მოგვახვიოს თავს ის, რაც ჩვენთვის მიუღებელია. ამ ადგილიდან, მეტეხის ტაძრის ეზოდან, კარგად ჩანს ჩვენი სამოქალაქო კულტურის შტრიხები, რომლებიც სრულიად განსხვავებული რელიგიებისა და კულტურის მქონე ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში საერთო სახელმწიფოს მშენებლობისა და თანაცხოვრების უნიკალური მაგალითია“, – განაცხადა ანდრია ჯაღმაიძემ.

1tv.ge